

დამატებითი სერვისის „Amediateka“ პირობები

1. დამატებითი სერვისის „Amediateka“ აქტივაციისას აბონენტი მიიღებს წვდომას „Amediateka“-ს კატალოგთან და შეძლებს მასში განთავსებული ფილმების და სერიალების ყურებას ულიმიტოდ (ამასთან, ფილმების და სერიალების გადმოწერა/შენახვა არ იქნება შესაძლებელი);
2. „Amediateka“-ს აქტივაცია შესაძლებელია მოხდეს შემდეგი გზით:
 - 2.1. სილქ ტვ მენიუდან, „Amediateka“-ს პინ კოდის შეყვანით;
 - 2.2. მომსახურების ცენტრის მეშვეობით (იდენტიფიცირების გავლის გზით).
3. „Amediateka“-ს გააქტიურების მსურველი პირი, რომელიც უკვე სარგებლობს სილქ ტვ-ის მომსახურებით (ან კომბინაციით/სპეციალური შეთავაზებით, რომელიც მოიცავს სილქ ტვ-ს), სერვისს გააქტიურებას შეძლებს მე-2 პუნქტში აღწერილი აქტივაციის ერთ-ერთი მეთოდით;
4. „Amediateka“-ს გააქტიურების მსურველი პირი, რომელიც არ სარგებლობს ტელევიზიით, თავდაპირველად უნდა დარეგისტრირდეს სილქ ტვ-ის მომსახურებაზე (ან კომბინაცია/სპეციალური შეთავაზებაზე, რომელიც მოიცავს სილქ ტვ-ს) და სილქ ტვ მომსახურების ინსტალაციის შემდეგ გააქტიუროს სერვისი მე-2 პუნქტში აღწერილი აქტივაციის ერთ-ერთი მეთოდით;
5. „Amediateka“-ს აქტივაციისათვის აუცილებელია სილქ ტვ მომსახურება იყოს აქტიური (არ იყოს შეზღუდული/შეჩერებული); „Amediateka“-ს გააქტიურება შესაძლებელი იქნება თვის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ;
6. „Amediateka“-ს დეაქტივაცია ხდება სილქ ტვ-ის მენიუდან - „ჩემი ინფო“ და მომსახურების ცენტრიდან;
7. აბონენტი „Amediateka“-ს კატალოგში არსებული „18+“ კონტენტზე ისარგებლებს „18+“-ისთვის განკუთვნილი პინ კოდით. „Amediateka“-ს მენიუდან გამოსვლის შემდეგ („საშინაო სკოლასა“ და „ვიდეოთეკაში“ შესვლა ან პროფილიდან გამოსვლა) საჭირო იქნება ყოველ ჯერზე პინ კოდის ხელახლა შეყვანა (სატელევიზიო არხებზე გადასვლა არ ჩაითვლება „Amediateka“-ის მენიუდან გამოსვლის ფუნქციად).
8. „Amediateka“-ს ყოველთვიური ღირებულების დარიცხვა ხორციელდება სილქ ტვ მომსახურების ანგარიშის ნომერზე (სილქ ტვ მომსახურების სააბონენტო გადასახდელის ანალოგიურად), ხოლო გადახდა მოხდება სილქ ტვ მომსახურების ყოველთვიურ სააბონენტო გადასახდელთან ერთად;
9. სერვისის შეზღუდვა ხდება სილქ ტვ პირობების შესაბამისად;
10. დამატებითი სერვისის ყოველთვიური ღირებულება შეადგენს **3 (სამი) ლარს**.